

განსხვავება

გადაწყვეტილება საკუთარი ოპიონიზის ბრძოლის თანხლებით

პირველი გვერდი

„არეზისტენტი“ აირჩია, იარაღის გამოყენებით თავის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობა გამოაძევა და ცდილობს თავისი ბატონობა გააგრძელოს ახალგორის რაიონში. არც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, არც „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ დღემდე არც ერთი საათი არ უარსებია იქ რუსული შეიარაღებული ძალების დღომის გარეშე. დღეს საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე სისტემატურად ხმარობს ოფიციალურ გამოსვლებში გამოთქმას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ არსებობის დაკანონებას საპარლამენტო აქტის საშუალებით, რაც პრაქტიკულად ნიშნავს

ა) სამკვლარო-სახიფათო ბრძოლის დაწყებას ორი „ოსეთის“ გაერთიანებისათვის, ანუ საქართველოს ტერიტორიის წართმევისათვის, ოსი ხალხის მხრიდან და

ბ) ამ ტერიტორიის საქართველოს შემადგენლობაში შენარჩუნებისათვის ბრძოლას ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს მხრიდან.

თავის კაპიტულანტურ პოლიტიკას შიდა ქართლის საკითხში, ისევე როგორც საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ყველა ან თითქმის ყველა სხვა საკითხში, უფრო უსუსტად რომ ვთქვათ - თავის მოლადატურ პოლიტიკას ყველა ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლებამ იმით ხსენის, რომ ჩვენი მდგომარეობა გამოუვალა და ამიტომ საქართველოს ხელისუფლება იძულებულია, დათმოს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც უმრავლეს სხვა შემთხვევაში, საქართველოს მმართველი გუნდის ეს პოზიცია ყალბია. ოგი აგებულია სიცრუესა და ფაქტების გაყალბებით განხორციელებულ დეზინფორმაციას. შიდა ქართლის შემთხვევაშიც, ისევე როგორც საქართველოს წინაშე მდგარი ყველა სხვა ძირითადი პრობლემის შემთხვევაში, საქართველოს აქტიური პოლიტიკა, რომ პრობლემას დაძლიოს, თუკი ხელისუფლებას საამისოდ კეთილი ნება გააჩნია. შენიღბულ კომუნისტურ-იმპერიულ ხელისუფლებას, როგორცაა შევარდნაძის მართონებელი ჯგუფი, ასეთი ნება არ გააჩნია. ამიტომ ოგი საქართველოს წინაშე მდგარ ვერც ერთ პრობლემას ვერ დაძლიებს. საქართველოს ეროვნულ ძალებს ასეთი ნება გააჩნიათ. ამიტომ მათ შეუძლიათ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ეს პრობლემები დაძლიონ. დღეს ბატონი და ქალბატონი ჟურნალისტების მოწვევის ერთი ძირითადი მიზანი ის გახლავთ, რომ გადავკეთთ მათ შიდა ქართლის პრობლემის გადაჭრის საკითხით კონკრეტული პრაქტიკული გეგმა, ანუ ამ მიზნისთვის საჭირო ნაბიჯთა კონკრეტული გათვალისწინება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ისტორიულმა სტრატეგიამ ინტერესებთან, ქართველი ხალხის ინტერესებთან, ოსი ხალხის ინტერესებთან და როგორც ინდივიდუალური ადამიანის, ისე ეროვნული უმცირესობების უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან. ეს გეგმა დაბეჭდილია გა.ზ. „საქართველოში“ და მას დაუყოვნებლად გადავცემთ პრესკონფერენციის მონაწილეებს.

მინდა პატივცემული ჟურნალისტების ყურადღების სფეროში მოვაქციოთ ორი გარემოება:

პირველი, დღეს უთოს ცეროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მისია საქართველოში აქტიურად ჩაბმულია შიდა ქართლის ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, კერძოდ, ჩაბმულია საქართველოს ინტერესთა დამცველად საწინააღმდეგო მიმართულებით. თუმცა ოგი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობა დაურღვეველი უნდა იყოს და საქართველოს სახელმწიფო - შეუღალახვი, ოგი „რეკომენდაციას“ იძლევა, რომ საქართველოში კვლავ შეიქმნას „სამხრეთ ოსეთი“, რითაც შორს სცილდება იმ საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებს, რომლებიც არსებობს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განსაზღვრისათვის. მისიის ამ პოზიციაში გადაწყვეტილი როლი ეკუთვნის და პასუხისმგებლობა აკისრიათ მის ხელმძღვანელებს, რომლებმაც, თანმიმდევრობით, იყენეს ბატონი ცვეტკოვი, შემდეგ ბატონი აიგო (გერმანია), ბატონი ბოდენი (გერმანია), დღეს მისიის ხელმძღვანელი გახლავთ ბატონი ლიბაძე (საქართველო). რამდენადაც მისიის „რეკომენდაციები“ სცილდება საერთაშორისოდ აღიარებულსა და უთოს დოკუმენტებში დაფიქსირებულ ნორმებს და რამდენადაც ამ რეკომენდაციებში მოცემული არგუმენტაცია დამყარებულია საგნებით თვითნებურ წინამძღვრებზე, რომელთა გაზიარების აღბათობა მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ ნულის ტოლია, საფუძველი გვაქვს ეს რეკომენდაციები ჩავთვალოთ მიკრობოდ ოსური მხარის სასარგებლოდ. ხოლო ვინაიდან ამგვარი მიკრობოდების სხვა მოტივები არ ჩანს, იძულებული ვართ ან ვივარაუდოთ, რომ მისიის პოზიციაში გადაწყვეტილი როლი თამაშობს ის ფაქტი, რომ ოსები მთიანი კავკასიის ერთადერთი ინდოგერმანული ეთნოსია და ამ გარემოებაზე დაფუძნებული კავშირები, რომლებიც მრავალი ათეული წლის წინ დამყარდა, დღესაც განმსაზღვრელ როლს თამაშობს გარკვეული პოლიტიკური სიმპათიების ჩამოყალიბებაში, ან ვივარაუდოთ, რომ არის ოგი ქვეყნების დანტერესება სახელმწიფოს შიგნით ფაქტობრივად დამოუკიდებელი ეთნიკურად განსხვავებული ტერიტორიული ერთეულის არსებობის პრეცედენტის შექმნაში, ან ვივარაუდოთ, რომ ამ რეკომენდაციების შემთავაზება რუსეთის გაუგებარებლად მიყურება, რომელიც საქართველოს დაშლისათვის იბრძვის. სამსახურ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საერთაშორისო უმთავრესობათა საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი თანამონაწილეად გვევლინება.

მეორე გარემოება შემდეგია. უთოს მისიის რეკომენდაციებში იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ საქართველოში „სამხრეთ ოსეთი“ უნდა შეიქმნას, მოყვანილია ის, რომ ქართველებმა, მისიის აზრით, მოახდინეს ქვინვალის საარტილერიო დაბომბვა. საარტილერიო გასროლათა სერია ქვინვალის მიმართულებით 1992 წლის ივნისში მართლაც მოხდა (რამდენადაც შემოიღია ვიდეო - მხოლოდ ან ძირითადად უმუხტო ჭურვებით, ე.წ. „ბოლფანკებით“). ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება უკვე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე.შევარდნაძის ხელში იყო. ვისგან მოხდა ეს გასროლები, რომლებსაც მისია „ქართველებს“ მიაწერს, ცნობილი არაა. იმასთან კომბინაციაში, რაც შემდეგ აფხაზეთში და აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით მოხდა, შემოსხვებული გარემოებები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს გასროლები მოხდა რუსული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფის, ე.წ. „გამურების“ მხრიდან, რომლებიც იმ დროს ცხინვალის ახლოს ტრიალებდნენ, და იმ წინასწარდასახული მიზნით, რომ კონფლიქტის ქართული მხარისათვის ქვინვალის საარტილერიო დაბომბვის მიწვეტი შეეძინათ ფიქციური საფუძველი საქართველოში ოსური მოსახლეობის სტატუსის შეცვლისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საზარადოდ.

დასრულებული საპარლამენტო კორა ღირსშესანიშნავი იყო ქვეყნის პოლიტიკური ძალების განლაგებაში უმთავრესი რეაქციების დაფიქსირების თვალსაზრისით. მმართველმა პარტიამ - საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა - სრული და უპირობო გამარჯვება მოიპოვა კვლავ ფრონტზე და თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგა ხელისუფლების მომავალი მონოპოლიზების მიმართულებით. პარლამენტში და მის გარეთ, მაგალითად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მომდინარე მოვლენების შემხედვარეს შეუძლებელია არ გავხსენებოდა ედუარდ შევარდნაძის მიერ სმკ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვები - ჩვენ ხელისუფლებაში სერიოზული განხრახვებით და დიდი ხნით მოვდივით. ფაქტობრივად, „მოქალაქეებ“ მოკავშირეების გარეშე დარჩნენ კამათში იმის თაობაზე, დაინიშნოს თუ არა ედუარდ შევარდნაძის საქართველოს მსხვილი ქალაქების და რაიონული ადმინისტრაციების ხელმძღვანელები. სმკ-ელებმა მოახდინეს საკუთარი ძალების მობილიზება და გაიტანეს მათთვის სასურველი გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტი ერთპიროვნულად დანიშნავს შემოსხვებულ თანამდებობის პირებს.

მსგავსი მობილიზაციის მაგალითები ჯერ კიდევ გასული მოწვევის პარლამენტის შემადგენლობის მოღვაწეობიდან გვახსოვს. როცა დსთ-თან საქართველოს შეერთების თაობაზე საკითხის გადაჭრისას, აუცილებელი უმრავლესობის უზრუნველყოფის მიზნით, სხდომაზე მძიმე ავდემიოფი დეპუტატებიც კი გამოიძახეს პირდაპირ ლოგინებიდან. ხოლო მოსკოვიდან ჩამოიყვანეს სრულებით ფაქტობრივად წარუქმული, რომელიც არცთუ ისე ანტიერებულ პარლამენტს თავისი დასწრებით. ამჟამად კენჭისყრაზე მიიყვანეს საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვუა დლორთიანძი. რომელმაც შეინარჩუნა დეპუტატის მანდატი საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, სადაც აღნიშნულია, რომ დეპუტატებს ეკრძალებათ ნებისმიერი თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში. ერთის მხრივ, მსგავსი მიღებმა მოწოდებს, რომ პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანია პრეზიდენტისთვის, რომელიც თვლის, რომ „კადრები ყველაფერს წყვეტენ“. შეიძლება ამის ინტერპრეტაცია შემდეგნაირად - „ჩემი კადრები ისე წყვეტენ, როგორც მე მჭირდება“. მეორეს მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობას უნარი შესწევს ამავე მართობაში უზრუნველყოფა აუცილებელი გადაწყვეტილების მიღება, მისი დემოკრატიულობისა და პოპულარობის ხარისხის, კონსტიტუციის სულისკვეთებასთან შესაბამისობისა და



საპარლამენტო პროცედურის წესების მოუხედავად და ა.შ.

უფრო მეტიც, ოპონენტებს დარტყმა სინქრონულად მოაქვს სხვა ინსტანციაშიც - მხედველობაში ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც უარი განუცხადა საინციტივი ფაქტის იმავ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების უფლებაზე უარი განუცხადა და არც კი გარჯილა დამაჯერებელი საბაბის მოქმენაზე, რომლის მოქმენაც მოცემულ სიტუაციაში, პრინციპში, რთული საქმე იქნებოდა უარის თქმის ოფიციალური მოტივებზე შემდეგ იყო - რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს, ამის გაკეთება კი შეუძლებელია, რადგან სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ორისციტიცია არ ვრცელდება გარკვეულ რეგიონებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამ მიზნის უსუსურობა მტკიცდება ორი არგუმენტით: პირველ ყოვლისა, უსუსტად ანალოგიურ პირობებში ჩატარდა პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები და თუ ცსკ-ის ლოგიკას გავყვებით, მათი ლეგალიზაცია კითხვის ქვეშ არის დაყენებული. ამასთანავე, საუბარი არ არის რეფერენდუმის ჩატარებაზე მოკეტილ ტერიტორიაზე, ხოლო თუკი ვინმე არ მოისურვებს მასში მონაწილეობის მიღებას, ეს მისი უფლებაა. მეორე ის არის, რომ იმავ ცსკ-მ ადრე სხვა საკითხებთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების უფლება მისცა სხვა საინციტივი ფაქტის (რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ამ უფლებით არ ისარგებლეს). მაშ, რა გამოდის - გარკვეულ საკითხებზე რეფერენდუმის ჩატარება შეიძლება, ხოლო ზოგიერთებზე კი - არა?

მწელია იმდენი დამყარება უზენაეს სასამართლოზე, რომ ის დადებითად გადაწყვეტს ცსკ-ის დადგენილებასთან დაკავშირებით შეტანილ სარ-

ჩელზე, რადგან ხელისუფლების სადაეკების მკურობებზე უკვე მოახდინეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეფასებების დემონსტრაცია და საკვება, რომ მოსამართლეებმა მათთან დაპირისპირება მოისურვონ, რჩება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც შესაძლოა მოისურვოს საკუთარი რენომეს შენარჩუნება მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, აღმასრულებელი ხელისუფლებამ აუცილებლად გამოჩინავს საშუალებას რეფერენდუმის ჩატარებაზე, ან მისთვის საჭირო შედეგების უსუსულებლად მოხერხება.

პარლამენტში აშკარა იყო მმართველი პარტიის წევრების ეთორია საკუთარი ძველამოსილების შეგრძენებასთან დაკავშირებით. მათ სრული საფუძველი გააჩნიათ ჩათვალონ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს პრეზიდენტი მოქალაქეთა კავშირის როგორცაა შეარჩევს, რაც კიდევ უფრო გაამყარებს პარტიის პოზიციებს მომავალ საპარლამენტო და ყველა სხვა არჩევნებში. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების პერსპექტივები რეალურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სურვილი ექნება მმართველ პარტიას - შეინარჩუნოს ქვეყანაში პოლიტიკური პლურალიზმის ილუზია აპათური, გულგატეხილი, კვლავინდებურად სახელმწიფო ბოროტკაციული მანქანაზე დამოკიდებული ამომრჩეველი მხოლოდ და მოკიდებული იქნება პროცედურაში, სახელმწიფოებთან - არჩევნებში.

მოდა, კვლავ გვექნება მოქალაქეთა და უმარტოთა ურდველი ბლოკი, რომელსაც დამაჯერებელი სვლით მივაკაროთ ნათელი მომავლისაკენ და რომელიც ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ საკითხზე საკუთარი ოციციების გრადლის თანხლებით. ყველანი კვლავ კარგად და მშვიდად იქნებიან. (პრაიმ-ნიუსი)

სერგეი ბაგაფში თბილისში ჩამოფრინდა

აშხაზეთის პრემიერ-მინისტრს, სერგეი ბაგაფში, რომელიც გუშინ 11.00 საათზე საქართველოს ავიაკომპანია „ორბის“ თვითმფრინავ იაკ-40-ით ჩამოფრინდა თბილისში. აეროპორტში დახვდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკოშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ორაკლი მენაღარიშვილი და უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი, რის შემდეგაც ისინი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში გაემგზავრნენ.

მოსალოდნელია, რომ სერგეი ბაგაფში შეხვედეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა სერგეი ბაგაფშიმ ეჭვის ქვეშ დააყენა თბილისში აფხაზეთის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მიზანშეწონილობა კავშირგაბმულობის საკითხების მოუგვარებლობის გამო.

18 სექტემბერს გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ორაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, რომ „სერგეი ბაგაფში აუცილებლად უდროს თბილისში ჩამოსვლა ქართულ-აფხაზეთური დიალოგის გასაგრძელებლად.

რომელშიც ნებისმიერი შეხვედრა სასარგებლოა სადაო საკითხების გადასაწყვეტად“.

სოხში დაუინებთ მოითხოვს 60 სატელეფონო ხაზის ჩართვას მოსკოვის გაკლით. მაგრამ თბილისი კვლავინდებურად ინარჩუნებს თავის პოზიციას აფხაზეთის სატელეფონო კავშირის საქართველოს ცენტრალური კვანძების გაკლით განხორციელების თაობაზე.

18 სექტემბერის პრეს-კონფერენციაზე მენაღარიშვილმა განაცხადა: „არა მგონია, კავშირგაბმულობის საკითხში არსებულმა უთანხმოებამ მოლაპარაკებების პროცესი ჩაშალოს, პირიქით, სწორედ გამოსავლის ძიებისათვისაა აუცილებელი დიალოგი“.

რა ჩვენებაი უნდა მივხა? - გაიკვირა თავსოკაქა

რამდენიმე დღის წინ პარლამენტის პენიტენციური რეფორმებისა და მსჯავრდებულთა საკითხების შეფასებებისათვის თვითმფრინავში, ედუარდ შევარდნაძის თხოვნით მიმართა ლენგერ ბოჭორიშვილს, ნება დაერთო და ოლი გუგუშვილთან, დეიო წერეთელთან, ზაზა პატარაშვილთან და გიგი ჭისტისაშვილთან შეხვედრაზე. 19 სექტემბერს პარლამენტის იმდებობა პასუხი მოუვლია.

მის ასევე აცნობეს, რომ მიწვეულია ქუთაისში სსამართლო პროცესზე ჩვენებების მისაცემად. როგორც ედუარდ შევარდნაძის მისაცემად, თვითმფრინავში სოფრისას აღნიშნა, მისთვის გუგუშვილია, რა ჩვენებები უნდა მისცეს, თუცა ვარაუდობს, რომ ეს დაკავშირებული უნდა იყოს მის შესხვედრებთან სოფელ დარჩელში მტკვარზე დაზარალებულებთან.

რაც შეეხება განსაჯების ამსონინდლ თხოვნას, რომ პარლამენტის წევრს მიეცა 1992-93 წლების მოკლენებისთვის პოლიტიკური შეფასება, თვითმფრინავში აღნიშნა, რომ ის საკუთარ თვალს არ მისცემს ასეთი შეფასების გაკეთების უფლებას. „ეს უნდა ვაკეთოთ იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც იმ პერიოდში იქნებოდნენ“ მონაწილეობდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში“ - დამსმია ედუარდ შევარდნაძის. (მ.პ.)

წარსული აწყობი

„იპარვენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა? აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა? ჰლაღატობენ საქმეს, ჰლაღატობენ ერთმანეთს ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ლალატი და სად ერთგულობა? სხვის ნაკლს, სხვის უბედურებას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს, სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა? სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად სიმართლე? კაცს სამარცხვინო ბოძხედ ტყუილ-უბრალოდ გასაკრავად არა ჰზოგვენ, არ ჰთაკილობენ, და იძახიან - კი, - ადამიანის ღირსება, ადამიანობა ხელშეუხებელია, სათავყვანებელიაო, და გამკითხავი არავინ არის: სად ტყუილ-უბრალოდ ადამიანის თავზე ლაფის დასხმა და სად ხელშეუხებლობა ადამიანის ღირსებობა? ათასს ამისთანას ჩამოგითვლით, საცა თქმა საქმეს არ ებმის და საქმე თქმას არ ემსგავსება.“



Handwritten signature or mark.

გაუიფილი ფოთი

აღნიშნული საფინანსო სამსახურების თანამშრომლებიდან მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები მოისმინა ფოთის რეგიონალური კონტროლის პალატის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შვიშიდმა.



მიუხედავად შვიშიდის მოთხოვნისა, სხდომა კომუნიკური პერიოდის თათბირებს არ დამსგავსებოდა და გამომსვლელებს ზეპირად ელაპარაკათ, ფოთის კონტროლის პალატის თავმჯდომარე გერონტი კუხალავიშვილი აუდიტორის წინაშე კონსპექტით წარსდგა და რ თვის განმავლობაში ფოთის კონტროლის პალატის მიერ შესრულებული სამუშაო ვრცლად მიმოიხილა. ხელმძღვანელობას არც ხელქვეითები ჩამორჩნენ. ქალაქში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრეს საფინანსო სამსახურების უფროსებმა. საერთო ჯამში სხდომა 9 საათის განმავლობაში გაგრძელდა.

მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე რ თვის წინ - განაცხადა რევაზ შვიშიდმა თათბირის შეჯამებისას. მან იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შეხვედრები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და მომავალში არა მხოლოდ შეხვედრებით, არამედ შედეგებითაც იქნება გამოვლილი. (გა)

„ტელეხრანიტელევის“ საქართველო

1991 წელს, რუსთაველზე, თბილისში, ხშირად იმართებოდა გამსახურდიას ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგები. მიტინგზე წერილობით მოკლე ბარათებსა და შეკითხვებსაც კითხულობდნენ. იყო ნერვიული იუმორიც. წაიკითხეს ერთი გადარუსებულის შეკითხვა: „რამდენი ტელეხრანიტელი“ ჰყავს ზვიადის ტელეოს“ და რა უფლება ის საკარტველოს“ საწყალი ზვიადი ორ მერსედესს“ გადაეყოფო, სულ იმას ვაყვედრიდით.

დღესა თუ პატარა ტელეოს“ გადაჰყავა მთელი საქართველო. დღეს საქართველოს ტელეხრანიტელების“ ქვეყანას უწოდებენ. ექვ, ნეტავი სამშობლო დაგვეცვა ასე.

ერთხელ ბატონი შალვა ნუცუბიძე ეკითხება თავის ნაცნობს ერთი უცნობის შესახებ, - ვინაა იმ კაცი? - ის, ბატონო შალვა, იყო ჩარკვიანის ტელეხრანიტელი“. ახლა არის მგელაძის ტელეხრანიტელი“. ბატონი შალვას იუმორმა არ დააყოვნა: „Вот как, тела меняются, но хронители остаются“.

პანბანე გომეჯი

ორი ინფორმაცია თერჯოლიდან

დასაჯავს ავობუსი. რაობა?!

იმპერატორმა მოწყალეების მოთხოვნების განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო: „ჩამოხრჩობა არ შეიძლება შევიწყალოთ“. მოსამართლე ერთობ ორგოფულ მდგომარეობაში ჩავარდა: საქმის განხილვა, რომ იმპერატორის ტექსტში სასჯენი ნიშნები არ იყო გამოყენებული. თუ, ჩამოხრჩობას“ დაუვსვამთ წერტილს, ყველაფერი ნათელია - მსჯავრდებული უნდა ჩამოხრჩონ! მაგრამ, თუ წერტილს „არ შეიძლება“ დაუვსვამთ, ისევ ყველაფერი ნათელია - ჩამოხრჩობა არ შეიძლება! უნდა შეიწყალონ.

ორმა თერჯოლელმა ავტობუსის მძღოლმა დიციხია შეიძინა სვლაგებით. თერჯოლა-ხესტაფონი-სკანდა. ერთხელ ერთ-ერთმა მძღოლმა თერჯოლის ავტოსადგომში არ შეიარა, სათანადო უწყისი არ ამოიწერა და ისე მოისურვა. მგ ზავრების მომსახურება. სად იყო და სად არა, სპეცკომისიის დანიშნული რეიდის დროს მძღოლი გააჩერეს, უწყისი მოსთხოვეს. რასაკვირველია, არ აღმოჩნდა. ხალხი ჩამოსვი და მანქანა „გარაჟში“ დააყენო. მოიყვანეთ სხვა ავტო-

ბუსი, როგორც წესია, მგ ზავრებს გადავვამ და კი ბატონო! არ მოყვანეს მძღოლმა რეისი შეასრულა.

მეორე თუ მეოთხე დღეს, - რა მნიშვნელობა აქვს! - სპეცკომისიამ 12 კაცის შემადგენლობით იმსჯელა ამ ინციდენტის თაობაზე და „თავზედ მძღოლს“ სასჯელის უმაღლესი ზომა - „ავტობუსის ხაზიდან მოხსნა დიციხის ჩამორთმევით“ - გამოუტანა. იქნებ გეპატობით, ასეთი რამ სხვა დროს რომ არ მიქნიაო! არ აპატიეს და... დასაჯეს ავტობუსის მეორე მძღოლიც - მას ხომ დიციხისაში ფული ჰქონდა გადახდილი!

რედაქციას ძალიან აინტერესებს, ასეთ შემთხვევაში სასჯელის რა და რა ზომებს მიმართავენ? თუ რამდენიმეს, მაშინ საგარაუდოა, თერჯოლელ კომისიელებს შეშლიათ სასჯენი ნიშნის სწორად გამოყენება!.

საქანაკო პენსიონრებს ქარხვავს?

სიმართლე თუ გსურთ, მართლაც ასეა... თერჯოლის მაგალითით თუ განვსჯით! მაგრამ, სანამ ამ აბსურდულ სიტუაციაზე გეტყოდეთ ორიოდ სიტყვას, ქუთაისში ყურმოკრულ ნახევრად ანეკლოტურ დიალოგს გავისხვებ: წითელ ხიდზე ორი ახალ-

თბილისის მერი იოსოვს...

თბილისის მერის გადაწყვეტილებით, მომავალ წელს იგი მოთხოვნას დააყენებს იმის თაობაზე, რომ დედაქალაქს საკუთარი შემოსავლების უდიდესი ნაწილი დარჩეს, რომელიც აქამდე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებზე ნაწილდებოდა.

1995 წელს თბილისის თავისი შემოსავლებიდან რჩებოდა 48-49%, 1996 წელს - 44-45%, წელს კი, ეს ციფრი 33%-მდე ჩამოსული.

თბილისის მერი, ბადრი შოშიტაიშვილის განცხადებით, მერიის მხრიდან გაკეთდება მოთხოვნა, რომ დღეს-ის გარკვეული პროცენტი, თბილისს, როგორც ფედერალურ სუბიექტს, დარჩეს. ასეთი შედეგით მარშან აჭარის რეგიონს გაუკეთდა.

როგორც ირკვევა, თბილისის შემოსავლების 3/4 რესპუბლიკაში პენსიების დარღვევას ხმარდება, რაც მიმე ტვირთად აწევება თბილისის რაიონებს. ქალაქის მერის თქმით, მაშინ, როცა სამგორის რაიონის საბიუჯეტო გადასახადი ყოველთვის 400 ათასი ლარია, მას 180 ათასი ლარის გადახდა ევალება რეგიონებში პენსიების დასაროებლად. ყველაზე დიდი შეუსაბამობა მთაწმინდის რაიონშია: მისი საბიუჯეტო გადასახადი 700 ათასი ლარია, ამ დროს კი 150 ათასი ლარი ამ რაიონიდან რეგიონების დასახმარებლად მიდის. ბადრი შოშიტაიშვილის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ მერიას ამ საკითხში გვერდში დაუდგება საქართველოს პარლამენტი (ბმპ).

აფხაზეთის სიყვანა და საქმე...

მიუხედავად ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზეთის მხარის დაპირებისა, რომ მათ მიერ ე.წ. „თბილისის კონტრაბანდის“ გამო გაღში დაკავებულ ოთხ ქართველს შაბათისთვის გაათავისუფლებდნენ, ისინი არ გაუთავისუფლებიათ.

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება და შემდგომში, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, სამინისტრო გაატარებს ოპერაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ არ დაუშვან ტერორიზმზე აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე (ბმპ).

პრინციპი ბრძანებას ბრძანებაზე ასხობს...

„სამართლმშობლს რესპუბლიკიდან უხარისხო პროდუქციის შემოტანის აღსაკვეთად, რომელიც საფრთხეს უქმნის აფხაზეთის მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე შიდა ბაზრის დაცვის მიზნით, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაჯარვებით მინისტრთა კაბინეტმა გასცა განკარგულება: გალისა და თანამხრის რაიონების საზღვარზე შექმნას მილიციის საგუშაგო, რომელიც ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს დაექვემდებარება. გალის რაიონში შესვლა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სპეციალური საშუალებით მოხდება. მილიციის საგუშაგოს თანამშრომლებს მიეცათ ბრძანება - შესაბამისი დოკუმენტაციის უქონლობისას მოხდეს საქონლის კონფისკაცია. საჭიროების შემთხვევაში, ზემოხსენებული საგუშაგოს თანამშრომლებს თავდაცვის სამინისტრომაც აღუთქვა დახმარება. (ბმპ).



კოლორის ხეობას აფხაზეთა პარამურანეობიდან ზეპირავე

სსსრავლმ წელი 1 ოქტომბერს კოლორის ხეობის შეიღვე სკოლაში დაიწყო. ზერჯანის თქმით, ზამთრისათვის მოსახლეობას მოემსახურება სტომატოლოგი, პედიატრი და ქირურგი. გვეგმათა სატელეფონო კავშირის დამყარება ხეობის 17-ვე დასახლებულ პუნქტთან. რაც შეეხება სატელეფონო კავშირს, მისი გაშვება 15 ნოემბრამდე დაგეგმილი. აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს მუშაობა კავშირგაბმულობის სამინისტროში.

შეგბო რა სავეტმფრენო მიმოსვლას, ზერჯანამ აღნიშნა, რომ მიღწეულია შეთანხმება კორპორაცია „ისი“-ს პრეზიდენტთან, კვირაში ერთი რეისის დანიშნის თაობაზე. ვეტმფრენო მომსახურების ფასს საგარაუდოდ 20 ლარი იქნება. აღნიშნული საკითხი პრეზიდენტის წინაშე დადგება.

რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, ზ. ვერჯანამ განაცხადა, რომ კომისია შეგბო ხეობაში დისლოცირებულ ი პოლიციის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების ქვედანაყოფებს. ზერჯანია თვლის, რომ საქორა დამატებითი ღონისძიებების გატარება, რაც სახელმწიფო ღონეზე უნდა გადაწყდეს. დეტალების დაკონკრეტებისაგან მან თავი შეიკავა იმ მიზეზით, რომ ეს მეტად დელეგატური ი თემა და უშეშრობის საბჭოს მოხსენდება. ზერჯანამ აქვე დასძინა, რომ საქორა ხეობაში საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფის ფონა, წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლობასთან, ასევე რუსეთის სამშვიდობო ძალებთან კონტაქტები. ზერჯანის განცხადებით, მოსახლეობა ისეა მოზილიზებული, რომ უცხო ძალებს ხეობაში არავინ გააჰყვანებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ „ფერინდა“-ს ასევე აუწყო, რომ ორი დღის წინ ხეობის თავზე 3 საათის განმავლობაში, დაზვერვის მიზნით დღე-ინიანდა აფხაზეთის ორი ვეტმფრენი. (ფერინდა)

გიორგი ზარნაქი
თერჯოლა,
11-14 სექტემბერი

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

ჩვენ მიჩვეული ვართ იმას, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ პრობლემას კონკრეტული პერსონაჟის, ან პერსონაჟთა ცხოვრების ფონზე წარმოაჩენს. წყველა-კრულვიანი საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს დავით კლდიაშვილის განსახილველ თხზულებას, ნაწარმოების სათაურშივე გამოტანილი. ეს საკითხი, ეს დაწყვეტილი პრობლემა გახლავთ გაჭირვება, სოციალური ბედუქმდროობა „ქაშუშადის გაჭირვება“ ამ თხზულებას იმდენად ჰქვია, რამდენადაც მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა გაჭირვებული აზნაური, - სახელად ოტია, გვარად ქაშუშაძე, მაგრამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ურწმუნოვანად, რომ ოტია ქაშუშადის ცხოვრების აღწერა მხოლოდ ფონია, მხოლოდ კონკრეტული მაგალითია საყოველთაო სიღატაკის საჩვენებლად. ამიტომ დავით კლდიაშვილის აღნიშნულ მოთხრობას, ისე როგორც ყველა მის ნაწარმოებზე, ერთი საერთო სათაური შეიძლება დაენათლოს - „ცხოვრება მიუსაფართა და გაჭირვებულთა“.

დიახ, დავით კლდიაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი დროის თავისებური „აგოგრაფია“ იმ განსხვავებით, რომ მთავარი იდეალისთვის მარტული წმინდანთა ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ ჩვეულებრივ, როგორც ადამიანთა არსებობისათვის ბრძოლასა და წამებას.

ადამიანი, რომელიც მალაღობის იდეისათვის მარტულია, ინარჩუნებს, იძენს და სრულყოფის ყოველგვარ სიწმინდეს, მაღალ ადამიანურ თვისებებს. ხოლო მოქალაქენი, რომელნიც, უბრალოდ, ფიზიკური ყოფნა-არყოფნის დიდიმის წინაშე დგანან, რომელთაც კუჭი უნებნათ სიმშლით და ემუქრებათ სიმშლით სიკვდილი, მთელი ცხოვრება მარტულია, მთელი ცხოვრება ეწამება. ეს წამება ყველა სხვა ტანჯვაზე უფრო მტკიცეა და გულსმომკვლელი, რადგან ამ ტანჯვაში ისინი გვრავდებიან იმდენად, დანაკარგით კი ჰკარგავენ ყველაფერს იმას, რაც ადამიანს ადამიანად ქნის.

„ქაშუშადის გაჭირვება“ 1900 წელს დაიბეჭდა ნაწარმოებში დასმულია მწვავე სოციალური პრობლემა, ეს პრობლემა დღესაც, თითქმის საუკუნის შემდეგაც არა ნაკლებ აქტუალურია თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის. ამდენად, თუ თხზულება მთელი სიმძაფრით განიცდება თანამედროვე მკითხველისაგან, ნაწარმოების მაღალმხატვრული ღირსებებთან ერთად, ამაში დომის წილი უდევს თვით პრობლემის აქტუალობასა და თანადროულობას.

„ქაშუშადის გაჭირვება“ არ არის მხოლოდ ისტორიული გარიჟიჟი კლასზე, „შემოდგომის აზნაურებზე“ დაწერილი მოთხრობა. მწვავე სოციალური სურათის ნეგატივზე აზნაურთა და გლეხთა ერთნაირად უზადრუკ მდგომარეობაშია აღბეჭდილი, იმ განსხვავებით, რომ ოდესღაც მადარი, ახლა კი ახალ პირობებთან „შეგუებული“ აზნაური უფრო გასაცოდრებული გამოიყურება.

დავით კლდიაშვილის უმთავრესი თემა არა ცალკე აზნაურის, ან ცალკე გლეხკაცის, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის შეჭირვებული ყოფის ასახვა.

შემშლილი სული ძვრებათ არა მარტო აზნაურებს - ქაშუშაძეებს, ქველიძეებს, სანიკიძეებს, ქუთათელაძეებს და სხვებს, არამედ გლეხკაცთაც.

ყველას ოჯახში ერთნაირი „მდურარე დეუს“ ყველა სასოწარკვეთილია. მთელი სოფელი შეწუხებული იყო, - კვითხულობით მოთხრობაში, - შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-ღამეზე მატულობდა. ხელმოკლე სოფლები-ისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ თამარაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრობა მონიშნა შიმშილის გამო, და ცოცხალ-მკვდარი ბაწრიდან ჩამოიღეს, - დროზე მიესწროთ. რამდენიმე კაცი, კიდევაც ასახელებდნენ, - სოფლიდან წასულიყო სამთხორავრად ქალებით და ბავშვებით.

ამ საზოგადო გაჭირვების წარმოდგენის შემდეგ, ცხადია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ დავით კლდიაშვილის სამყაროში მხოლოდ გაღატაკებული აზნაურები გმინავენ, გლეხები კი, როგორც უფრო მშობილებსა და ამტანთ, ულხინთ. არა, ასე არ გახლავთ საქმე. თუკი გლეხობასა და აზნაურებს შორის დაპირისპირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს პროცესი ასახა კიდევ დაუ-

ავტორისაგან: ძვირფასო მასწავლებლებო, თქვენი თხოვნით განმეორებით ვბეჭდავ „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ იმ ნაწილს, რომელსაც ამჟამად გადიან სკოლებში. სამწუხაროდ, წიგნის სექტემბრისათვის გამოცემა ვერ მოვახერხე. ვიმედოვნებ, ახალი პროგრამის მიხედვით შედგენილ სრულ გამოცემას 1 თვეში მიიღებს მკითხველი. მანამდე კი, ვითვალისწინებ თქვენს თხოვნას და სკოლის დასახმარებლად ვბეჭდავ ცალკეულ თავებს.

დავით კლდიაშვილი „ქაშუშადის გაჭირვება“

ით კლდიაშვილმა, მაგრამ რა კუთხით და როგორ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ ახლა კი, შესავალშივე, ერთი რამ უნდა განვაცხადოთ: დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა და მათ შორის „ქაშუშადის გაჭირვების“ ძირითადი თემა არა კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვენება, არამედ ის, თუ რა სჭირს, როგორი ხდება ადამიანი, როგორი ხდება საზოგადოება შიმშილის, გაჭირვების, ეკონომიური სიღუბეების ვაშს.

რა სჭირს ადამიანს

სოციალურად ავადმყოფი საზოგადოება ავადმყოფ ადამიანებს შობს. „ქაშუშადის გაჭირვების“ მიხედვით, პირველი, რაც ასეთ საზოგადოებაში თვალშისაცემია, არის ტოტალური გაუცხოება გაუცხოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა წოდებრივი, ქონებრივი, ზნეობრივი, გონებრივი სხვადასხვაობა. უფრო მეტიც, ასეთ საზოგადოებაში შესაძლოა ადამიანები ერთი წოდების წარმომადგენლებიც იყვნენ, თანაბარი ქონების, ზნეობისა და გონების პატრონნი, მაგრამ მათ შორის მაინც სრული გაუცხოება სუფევდეს, რადგან გაჭირვებულ ადამიანებს ერთმანეთისთვის არ სცალიათ... ადამიანი, ბუნებისა და საზოგადოების ხაწილი, წყდება ბუნებასა და საზოგადოებას და საკუთარ თავში გამოკეტილი, თავის მძიმე ფიქრებთან დარჩენილი სრულ მარტობას განიცდიდა. ასეთ იძულებით მარტობაში, ერთი შეხედვით, თვინიერად გამოკეტილი ადამიანი საფანგში გამაყვლითი წრიალებს, საკუთარ თავს აწყდება, ბორავს, ნერვიულობს და მეგლივით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თუ ვის მიუხტეს, ვის წაგლიჯოს, ვინ გააუბედუროს, რომ თავისი დაწყვეტილი ცხოვრება ცოტა მაინც გამოასწოროს გადარჩენის ინსტიქტით მცხოვრებ. კაცი მსკე... ჩივდა და იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია მოხერხებულად, სხვათა შეუმჩნეველად მოიგოს მხეცის ნიღაბი. მოხერხებულად და შეუმჩნეველად, რადგან სხეებმა ეს არ უნდა შენიშონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სხეები ადარ გაუცურაკლებთან, ადარ მოტყვილდებიან.

საყოველთაო გაჭირვების ვაშს მეზობელი მეზობელი არ ინდობს, ძმა - ძმას, დედა - შვილს, შვილი - დედას.

ასეთ შემზარავ სურათს ხატავს მწერალი „ქაშუშადის გაჭირვებაში“.

დაბოლოს, ყოველივე ამას ემატება შეუძლებელი თავმოყვარეობის გამო ძლიერი სულიერი ტანჯვა, რისგან „თავის დაღწევა“ ისევე გაუცხოებით ხდება ადამიანი გაურბის საკუთარ თავს, არ სურს დაინახოს თავისი რეალური მდგომარეობა, არ სურს შეგუოს თავის ყოფას და ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს არა იმად, რაც არის, არამედ ისეთად, როგორც სურს იყოს. ამით კი თვით ემსჯავება იმ სირაქლემას, რომელსაც ოგი ქეშაში ჩაურავს, შეუმჩნეველი რომ გახდეს.

იმდენად დიდია კლდიაშვილის გმირებში ადამიანურად ცხოვრების ჟინი, რომ ოდესღაც მართლა არსებული, მაგრამ ახლა მხოლოდ ოცნებებში გამოჩნკული, სასურველი ყოფა, რეალურად ეჩვენებათ. მათთვის დარღვეულია ზღვარი ილუზიურსა და ნამდვილს შორის, ის, რაც სურთ იყონ, ჰგონიან, რომ მართლა არიან ეს არის თავისებური გაქცევა სინამდვილიდან, ზურგის შექცევა პროტესტი მკაცრი რეალობის მიმართ ამ თვითდაჯერებას, ასეთ თვითდარწმუნებას ისინი განიხიციებენ ტრანზიტი, ბაქაობით, ამპარტავობით. იმდენად გათავისებული აქვთ სასურველი როლი, რომ ჰგონიან, ეს როლი კი არა, მათი ნამდვილი სახეა და ცხოვრობენ

ნოდარ ბრიგალაშვილი

ასე - „კმაყოფილი“. ეს გამოხატულება „კმაყოფილება“ აქვევით მათ კომიკურ პერსონაჟებად. ეს „კმაყოფილი“ გმირები მკითხველში იწვევენ სევდანარევი დიმილის გრძნობას. დროდრო კი ცხოვრება მთელი თავისი სიმკაცრით წამოიფორმება და კლდიაშვილის პერსონაჟთა კმაყოფილებას ერთი დაკვრით აცამტყერებს. სასურველი როლით, სინამდვილედ წარმოდგენილი ილუზიებით მცხოვრებნი, ამ დროს უბრუნდებიან საკუთარ თავს და ხაფანგში გამაყვლებივით წრიალებენ. სულის სიღრმემდე შესძრავთ თავიანთი ყოფის ტრაგიკული განცდა, მაგრამ გამოსავალი მათთვის არ ჩანს.

ტოტალური სიღარიბე და გაჭირვება ადამიანს შლის, ანადგურებს სულიერად და ზნეობრივად. მისთვის ადარ არსებობს მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, სიხდისი.

„ქაშუშადის გაჭირვებაში“ მავანი თხოვდება, მავანს ცოლი მოჰყავს, მაგრამ ამ ნაწარმოებში თქვენ ვერ ნახავთ პერსონაჟებს, რომელთაც სიყვარულით უთრითი გული. სიყვარული კლდიაშვილის სამყაროდან გაძევებულია, რადგან ლუკმა-პურის მოსაპოვებლად გამთენიიდან დაღამებამდე ყანაში ჩამდგარ, წელში გაღუბულ ადამიანებს სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ სცალიათ, მათ ცხოვრებას კუჭი განავებს, მშვიერი კუჭი. დამშეული ადამიანი კი საშინაო, დაუნდობელი აი, იმ საფიქრალთა წყება, რომელსაც ადრიავენ „ქაშუშადის გაჭირვება“. ზოგადად, ყოველივე ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

უბედურია ქვეყანა, სადაც უპირველესი პრობლემა კუჭის პრობლემა, არსებობისათვის ბრძოლაა.

უბედურია დამშეული საზოგადოება, ცოდვანია, უსიყვარულო და გაუტანელი ოგი. ასეთ საზოგადოებაში ნიჭიერიც ის არის, ძლიერიცა და კეთილდღეობაში მყოფიც, ვინც როგორც მატყუარებზე უფრო მეტი მატყუარა, ვინც ყველაზე გაქნილი და მოხერხებულია.

„ქაშუშადის გაჭირვება“, როგორც ვთქვი, 1900 წელს დაიბეჭდა საუბედუროდ, ყველა ზემოთხსენებული პრობლემა დღევანდელი დღის პრობლემაც არის.

ახლა კი ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ის საკითხები, რომელნიც „ქაშუშადის გაჭირვების“ სიუჟეტშია ჩაფენილი.

გაუცხოება წოდებათა შორის

თამარაშენში, კანცელარიის წინ, შაბათობით იკრიბებოდნენ გლეხები და ღარიბი აზნაურები. ეს ხალხი არაფრით განიჩიოდა ერთმანეთისაგან. თითოეული მათგანის ჩაცმულობა და დაღვრემილი სახე მათ სიღუბნურებს ადასტურებდა მაგრამ აზნაურებს სისხლსა და ხორცში გამჭვდარი უპირატესობის გრძნობა უბიძგებდათ განკერძოებულებიყვნენ მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ აჩენილი, - ამ ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხვი“-ს სახელიც კი დაერქვა. ეს მცირე დეტალი ზუსტად ხატავს წოდებათა ურთიერთობის სურათს. ერთნაირად დამშეულ აზნაურსა და გლეხს შორის ნაცვლად იმისა, რომ თანაღობის ხიდი გაიღოს, შეუვალი კედელი აღმართულია აზნაური გლეხს არ კადრულობს, მასთან ჯდომას და მუსაიფს თაკილობს.

ასეთი ამპარტავობა კი მეტისმეტად კომიკური ჩანს გაღატაკებულ აზნაურთა ცხოვრების ფონზე აზნაურები იძულებულნი არიან ისევე თავდაუზოგავად ებრძოდნენ მიწას,

როგორც გლეხი შრომობს. ოტია ქაშუშაძე გამოთნიდან გადის ყანაში და ზედ აკვდება სახნისს, ისე, როგორც მის მეზობლად მის-სავე დღეში მყოფი აზნაურები და გლეხები ასეთ დროს ოტიას ყველაფერი დაიწყებულნი ჰქონდა: თავისი წოდებაც, გვარიშვილობაც, სიამაყეც. ოგი იყო მუშა, გულმოდგინე, თავდაუზოგველი მუშა.

ერთხელ, ამ ყოფაში ნახა ოტია მისმა ახლად შეირთულმა მეუღლემ. შეურაცხყოფილ აზნაურის ქალს ბოლომთ გული გაუსივდა. „ოგი თავისი თვალთ ხედავდა, ამ წამში, ამხანად, მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქაშუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველი მხრივ ისეთივე გლეხი, როგორც აი, გადაღმა ყანაში მოუშავე პეტრია ღინარაძე...“

გულმოკლედი, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად უდგა მისი ქმარი - გლეხი, ყანახი გარეგნობით, შეხედულებით, საქციელთ, მოქმედებით და შეძლებით... შეძლებითაც“.

როგორც ვხედავთ, შრომა, გლეხებით შრომა, აზნაურისათვის სულის სიღრმემდე შემძვრელი და შეურაცხყოფელია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, სხვა გამოსავალი არ ჩანს, უნდა „გაყაზახდეს“ და მიწის მუშად იქცეს. აქი ასეც ხდება, მაგრამ აზნაურობას, ბატონობას მაინც ვერ იფრწყებს და კულაბიკობა სასაცილო დღეში ადგებს.

ოტიას ბიძა, ლევან ქაშუშაძე, შიმშილით მოკვდა, „გოგო“ ოტიასთან შემოირბენს და ყვირის: არიქათ, გვიშველეთ, ბატონი კვდება, ბატონო.

შიმშილით კაცს სული ძვრება, მას კი ისევე „ბატონად“ იხსენიებენ ეს ერთადერთი სიტყვა მთელი სისრულით ხატავს აზნაურთა ტრაგიკომიკურ ყოფას. ხომ ასე გაჭირვებულია ოტია და მისი ოჯახი და მაინც, როდესაც სონია შეიტყობს, რომ ოტიასაქურს შეძლებულ გლეხს, სამადამეს მონათლული ნოს შვილი, შეურაცხყოფისაგან ადარაფევა გლეხთან დანათესავება მისთვის უბედურების ტოლფასია.

როგორც იქნა, სონია დაიყოლიეს. სამადამეს ბავშვი მონათლულია.

ნათლობის სუფრაზე თანამეინახენი ერთმანეთს აუშარდნენ გამობრუყული, ახანცადებული სამადამე მოხუხართა გაშველქვას მონიღომებს და აჭინკვლებულ აზნაურს, ბესარიონ ქაშუშაძეს აჩუმებს.

- გაწყინა პატივისცემამ, ყანახი?! - წამოუნთო აზნაური და გულმოსულება მუშტი წაპკრა „გათავებებულ“ გლეხს.

- ყანახი ვარ! - შეპყვრა სამადამემ, - ყანახი ვარ, მარა შენისთანა შიმშილგომის აზნაურიშვილს კიდევ ვვლობივარ!

ამ „შემოდგომის აზნაურის“ ხსენებამ ბევრი ააპილიდა.

- გაავლეთ მაგ... გაავლეთ მაგ ქინქლიანი ყანახი!

ოტიას ოჯახს, როცა უკიდურესად გაუჭირდა, როცა ცივი ჭადოც სანატრელი გაუხდა, ამპარტავანი ეკვირნი იძულებული გახდა „ქინქლიან ყანახს“ სამადამეს მისდგომოდა და მისთვის ეთხოვა სიმინდი. გლეხმა უარი არ უთხრა, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ დამით, ჩუმად გადაუტანა, მეზობელს რომ არ დაენახა და ქაშუშაძეებს სოფელ-ქვეყანაში თავი არ მოსჭოვდა...“

აი, ასე თავადერილნი დაჰყურებდნენ „შემოდგომის აზნაურები“ მეზობელ გლეხებს. გაჭირვებას, ერთ ბედქვეს ყოფნას ისინი თითქმის უნდა დაეახლოვებინა, წოდებრივი განსხვავებულობის უკვე ბალავარგამოკვლილი კედელი უნდა მოეყვია და დაეკერია, მაგრამ ასე არ მოხდა. სიღატაკე, როგორც ჩანს, ადამიანთა თანაღობის საფუძვლად ვერ იქცევა, პირიქით, იგი უფრო თიშავს და აბოროტებს სხვადასხვა წოდების ადამიანებს. მაგრამ იქნებ ერთი წრის წარმომადგენლებს ჰკრავს ერთ მუშტად საერთო სატყეარი, იქნებ თვით აზნაურები ჰყოლობენ ერთოერთთან საერთო ენას? არა და არა ერთი და იმავე წრის წარმომადგენლები კიდევ უფრო გულდასშუენი არიან ერთმანეთის მიმართ. „ქაშუშადის გაჭირვებაში“ შესაბამისი მაგალითები სანთლით საძებნელი არ გახლავთ.

იყიდეთ, იყიდეთ, რამე...

ბინები

იყიდება მიწის ნაკვეთი საირ-
მის გორაზე 800 კვმ. ტელ 38-
36-47

იყიდება (შეიძლება გაქირავე-
ბა) საცხოვრებელი ფართის 340
კვმ ნახევრად გარემონტებული.
გამოდება ოფისისათვის და სხ-
ვადასხვა დაწესებულებებისათვის
მის თაბუკაშვილის 27. ტელ 93-
37-64 იკითხეთ დათო

იყიდება 3 ოთახიანი ობოლირე-
ბული ბინა ვერაზე, შარაშვილის
5 ნომერში. სასწრაფოდ, იაფად.
ტელ 22-57-02 მარინა

იყიდება კერძო სახლი საბურ-
თალოზე 400 კვმ ხეხილიანი ნა-
კვეთით და ეზოთი, მანქანის
სადგომით, მიშენება-დაშენების
პერსპექტივით ფასი შეთანხმებით.
ტელ 38-30-25

იყიდება 3 ოთახიანი თუხარე-
ლის პროექტის ბინა რემონტით,
ტელეფონით, რკინის კარებით III
სართულზე, კაპიტალური ავტო-
ფარებით, სარდაფით ტელ 53-44-
43

იყიდება ყავლაშვილის პროექ-
ტის აგურის ბინა 8 სართულიანი
სახლის II სართულზე, ბინა სამო-
თახიანია, რკინის კარებით, 2 აივნით
2 ტუალეტით, სარდაფით სუფთა
ბინა, საწყისი ფასი 7500 დოლა-
რი. მუხიანი IV ა მ/რ 17ა კორპუ-
სი, II სადარბაზო, II სართ. ტელ
64-26-75

იყიდება 1 ოთახიანი ბინა მა-
ღალ ბულვარზე მეტრო „გოცირ-
იძესან“. ტელეფონით, სარდაფით,
მანქანის გასაჩერებელი ადგილით
ტელ. 93-12-66 ფასი 8 ათასი
დოლარი

სასწრაფოდ ვყიდი ერთ ოთახ-
იანი ბინას რუსთაველი ფასი 1000\$
ტელ 63-63-25 პანრი, ხატია

იყიდება 2 სართულიანი
საუკეთესოდ გარემონტებული კაპ-
იტალური სახლი 200 კვმ საცხ-
ოვრებელი ფართით, აქვს დამხ-
მარე სათავსოები 400 კვმ კეთილ-
მოწყობილი ხეხილიანი ეზოთი.
სახლს აქვს გათბობის და ცხელი
წყლის სისტემა მის დაითურის
(ლოტინი) ტელ 23-51-52

ძირაველება

ქირავდება 3 ოთახიანი
კეთილმოწყობილი, ობოლირებული,
ტელეფონიანი ბინა მეტრო
„პოლიტექნიკურთან“ IV
სართულზე. აუცილებელი საო-
ჯახო ნივთებით. ფასი 300\$ ტელ
38-87-13 ან 32-47-40

ქირავდება ოთახნახევრიანი
ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან“
რეპეტორზე დღის განმავლო-
ბაში. ტელ. 38-70-51 ან 38-26-88

ვიგირავებ 1 ოთახიან ტელე-
ფონიან ბინას, სასურველია
მეტროსთან ახლოს 1000\$-ის ფარ-
გლებში. ტელ. 32-89-72

ქირავდება ვაკეში
სართულზე 80 კვმ ფართის ბინა
საოფისედ ან სხვა დანიშნულებ-
ისათვის... ტელ 32-30-01

ვცვლი ან ვაქირავებ დიდ
ოროთახიან ბინას საერთო ფართი
80 კვმ ნუცუბიდის IV მკრ-დან
უფრო მცირე ზომის ბინაზე მეტრო
„პოლიტექნიკური“ მიმდებარე
რაიონში. ტელ 33-57-71

ვაშაველება

ვასწავლი ინგლისურს ნების-
მიერი ასაკის ადამიანს. ტელ 31-
33-27; 32-81-58 ნუნუ

ვამზადებ ბავშვებს ფიზიკა-
მათემატიკაში. სახლში მისვლით
ტელ 98-60-69 იკითხეთ ლიკა

ვამზადებ მონწილეებს ინ-
გლისურში. ფასი 20 ლარი. ტელ
96-99-72; 51-40-04 თამუნა

სხვადასხვა

ვყიდი „კრაველის“ ქურქს,
ზომა 50, ჩაუცმელი, შავი ფერის,
ფასი შეთანხმებით ტელ 38-61-
08; 38-88-88

ვყიდი ამერიკულ პარფიუმე-
რიას, რომელსაც მთელი რიგი
სამკურნალო თვისებები აქვს,
ანერებს თმის ცვენას, შლის
ნაოჭებს, წმინდავს სახეს, ამოჟავს
თმა ტელ 93-14-87 (ზურა 6-დან
12 საათამდე)

იყიდება მცენარეულობაზე
დამზადებული ჩინური წამლები,
რომლებიც წარმატებით კურნავს
თთქმის ყველა დაავადებას ტელ
93-14-87 6-დან 12 სთ-მდე ზურა

ვყიდი გერმანულ ანტიკვარულ
პიანინოს, რომელიც დამზადებუ-
ლია XIX ს-ის II ნახევარში, შავი
ფერის, ორი შესვლით, მონოქორ-
მებული, სპილოს ძვლის კლავია-

ტურით, კარგ მდგომარეობაში.
ტელ 93-14-87 6-დან 12 სთ-მდე
ზურა

იყიდება გერმანული წარმოე-
ბის გაზის რევილვერი „კობრა“ -
ოლიგოლოური გაფორმებით ფასები
შედავითარნი. ტელ 61-13-55

იყიდება გერმანული წარმოე-
ბის გაზის „მაკაროვის“ პისტო-
ლეტი, იაფ ფასებში ტელ 67-03-
55

იყიდება ახალი სარეცხი მან-
ქანა „როვა-13“. ფასი 150 ლარი.
ტელ 29-35-02

იყიდება იაფად მწვანე ფერის
რბილი იატაკი „რედინი“, 10 მ-ის,
ფასი 50 ლარი. ტელ 95-26-85

ვყიდი უცხოური წარმოების
მრავალ მაგიდას შეფუთულ მდგო-
მარეობაში, ანტიკვარულ მცირე
ზომის მაგიდას აგრეთვე ავტომან-
ქანა BA3 21-011-ის ტექნიკურ
პასპორტს. ტელ 33-57-71

შევიძენ ახალ ან ნახმარ „ვენ-
ტიუმის“ მარკის კომპიუტერს შე-
ღავათიან ფასებში. ტელ 33-57-71

იყიდება ავტომანქანა „ვიუგუ-
ლი 09“ 1990 წ. გამოშვებული 3000\$
ტელ 877-40-73-23

პაქვაყნებთ უფასო განსხვადებებს დაგვირეკეთ: 93-18-41

კომპიუტერზე მუშაობის შესავლის მსაჯულთა საყურადღებოდ!

ბანათელის სამინისტროს
თბილისის ინფორმატიკის
სახვალო-მეთოდური ცენტრი
„მზიური“ გივანთ კერძო-ნაღვლიანი
კომპიუტერის შემსწავლელ
კურსსაზე

- ♦ თქვენ შეისწავლით MS Office
პაკეტის გამოყენებას თანამედროვე
ოფისში
- ♦ თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალ-
ფიციური პედაგოგები
- ♦ საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები
და მეთოდიკა
- ♦ ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- ♦ სერთიფიკატი, რომელიც ეზას გაეჩინით პრესტი-
ჟული სამსახურისაკენ.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37
(„მზიური“ ტარიტორიაზე, ჩოგბურთის კორტთან)
ტელ. 29-48-61; 23-53-17; 29-48-60 ფაქსი 29-49-61

ბრუტამა ჩუნთან



თქვნი სტამბის
წაბმადების საქინდაბია!
დაგვირეკეთ
93-18-41
საქართველო

დავამ შილი დაბიკავა და შამდაბ შიკოვა

დამამ 5 წლის შილი დაბიკავა და შამდაბ შიკოვა - აცნობეს
პრამ-ნოუსს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს არასრულწლოვან-
თა მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტში.

5 წლის დიანა კონცელიძის დედა თბილისში ბითუმად ყიდულობ-
და საქონელს და შილს გირაოდ უტოვებდა მოვარებს დედამ გამო-
სასყიდი თანხა ვერ იშოვა, ბავშვი შიკოვა და უკვალოდ დაიკარგა.
ბათუმელი დიანა კონცელიძე თბილისის ერთ-ერთი არასრულწლო-
ვანთა მიმღებ-გამანაწილებლის თანამშრომლებმა ბათუმში ჩაიყვანეს
ამჟამად, 5 წლის დიანა კონცელიძე ბათუმის მიმღებ-
გამანაწილებელში იმყოფება. (პრამ-ნოუსი)

ალმოაჩინეს ერთი კილოგრამი პერონი

ერთი კილოგრამი პერონი აღმოაჩინეს სარფის საბაჟოზე ავტო-
მანქანაში მოწყობილ საგანგებო სამალავში აჭარის შინაგან საქმეთა
სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთ-
თობლივი ღონისძიების შედეგად - იტყობინება პრამ-ნოუსის კორე-
სპონდენტი ბათუმშიდან.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სა-
მართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. აჭარის შინაგან საქმეთა
სამინისტრომ პრამ-ნოუსთან საუბარში გამოძიების ინტერესების
დაცვის მოტივით თავი შეიკავა რაიმე სხვა ინფორმაციის გაგრ-
ცვლებისაგან. (პრამ-ნოუსი)

რუსთიდან ირანში - ნეკლიარული (ავტორი) დოკუმენტი

აშშ-ს მკაცრი რეაქციის მოხუცდავად, რუსეთი ირანთან ნეკლიარ-
ულ საქმიანობას უფრო და უფრო აძლიერებს და ამ ქვეყანაში
ახალი რეაქტორების დაყენებისათვის ემზადება.

რუსეთის ატომური ენერჯის მინისტრმა - ვიქტორ მიხაილოვმა,
იმ ქვეყნებს შორის ირანიც დაასახელა, რომლებთანაც მოსკოვი
ნეკლიარული ენერჯის სფეროში თანამშრომლობას გეგმავს.

გამართულ პრეს-კონფერენციაზე მიხაილოვმა განაცხადა, რომ
გადაწყვეტილია ირანში, ბუშეჰრის რაიონში ნეკლიარული ცენტრის
აგება; განსაკუთრებით კი ახალი რეაქტორების აგების საკითხზე
დაიღო ხელშეკრულება თეირანთან რუსეთის მიერ ირანში, ბუშეჰრ-
ში ეს მშენებლობა დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი ჯდება.
რუსი სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს იქნება 1000 MW-ს სიმ-
ძლავრის რეაქტორი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მაგალითად,
როცა ირანში ნეკლიარული იარაღის წარმოებაზე გამომხატა თავისი
დამოკიდებულება, აშკარად გამოიკვეთა აზრი, რომ რუსეთის ეს
ქმედებანი მთლიანად გამორიცხავს სამშვიდობო მიზნებს მიხაილოვ-
მა თქვა, რომ 2000 წლისათვის სამინისტრო უცხო ქვეყნებს ოთხი
მილიარდი დოლარის ღირებულების ნეკლიარულ ტექნოლოგიას მი-
ჰყიდის.

ნუსინს სიკვლილი სლოვაკია

ბამონაშპარაშვამ, რომ რუსეთის ლიდერს - ბორის ელცინს 1995
წლამდე რამდენიმეჯერ თავის მოკლა უცდია.

ლონდონში გამოქვეყნდა გაზეთი „გარდიანი“ (The Guardian), ყვრდნო-
ბა რა ელცინის ძველი დაცვის უფროსის - ალექსანდრე კორსაკოვის
განცხადებას, აღნიშნავს, რომ ელცინს 1995 წლამდე, ვიდრე მას სერი-
ოზული გულის შეტევები დაეწვებოდა, რამდენიმეჯერ თვითმკვ-
ლელობის მცდელობა ჰქონდა.

კორსაკოვმა კვრძოდ თქვა, რომ 1990 წელს მდინარე მოსკოვზე
გადებული ერთ-ერთი ხიდიდან ელცინი გადახტომასა და, რასაკვირვე-
ლია, სიკვდილს აპირებდა მანვე აღნიშნა, რომ ამ ამბიდან ორი წლის
შემდეგ იგი ოთახში ჩაიკეტა და მის გადასარჩენად კარის შემტრევა და
ასე შესულა დაგვტორდა.

თურქული გაზეთი Milliyet-ი, 28.VI.97

საოხნაბო შამაქასობა

თანამედროვე მედიცინაში სქესობრივი
ცხოვრების საშინელ სიზმარს -
მოკლე პენისსაც დაადგა საშველი

კოშმარს ბოლო მოელო

მეთოდმა, რომელსაც სხეულიდან აღებული გათხვევადებული
ცხიმის პენისში შეყვანა ანუ ინექცირება ჰქვია, სამედიცინო სამ-
ყაროში პენისის გადიდების მეთოდთან ერთად, სქესობრივ ცხოვრე-
ბაში მეორე სიჭაბუკის კარი შეადო.

სახელგანთქმულმა ეგვიპტელმა უროლოგმა არფე ელ სევეიფიმ
(Aref El Sewelifi), რომელმაც 100-ზე მეტი წარმატებული ოპერაცია
ჩაატარა, თქვა: ჩემი პაციენტები ანატომიურად მცირეპენისოვანი არიან.
სქესობრივი ცხოვრება მათთვის, სრული გაგებით, კოშმარია.

თოთხმეტი ათასი ბერმანული მარბა

არამუ ელ სევეიფიმ, რომელიც ბერლინიდან 45 წუთის სავალ მან-
ძილზე მდებარე ქალაქ პოტსდამში Sansonci-ს კლინიკაში საოცრებებს
სინამდვილედ აქცევს, ბრძანა, რომ ჩემი პაციენტები ოპერაციის შემდეგ
ექვს კვირაში ნორმალურ სქესობრივ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ეგვიპტელმა ქირურგმა განაცხადა, რომ თავის ასისტენტთან ერთად
თურქეთში ოპერაციების ჩასატარებლად ჩამოვა და რომ ეს ჩამოსვლა
თორმეტიდან თოთხმეტამდე ათას გერმანული მარკის ხარჯებით არის
დაკავშირებული.

სამამტაპობრივი

ჩინეთში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიასა და გერმანიაში განს-
ორცილებული ოპერაციები სამეტაპობრივია: პირველი, ორივე ბარბაქის
ქვედა ნაწილსა და მუხლს შორის არსებული მონაკვეთიდან თხუთმეტი
სანტიმეტრის სიგრძის კანი ამოიკვეთება.

მეორე ეტაპი: პაციენტს პენისზე შედმეტ კანს მოსტრიან და მესამე
ეტაპზე კი ხდება შემდეგი: ოთხსანტიმეტრიანი ფოთლები მოთავსე-
ბულ პენისს წინ გამოქაჩავენ და ცხიმთან ფენოვან კანს ორგანოს
ქვემოდან მიაკერებენ.

თურქული გაზეთი Milliyet-ი, 28.VI.1997 წ.

